

სამეცნიერო-კვლევითი პროექტი „საქართველოს რეგიონების კონკურენტუნარიანობის ფაქტორები (ქიზიყი: სიღნაღის და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი)“

გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში განსაკუთრებით აქტუალურია ქვეყნის ეფექტიანი ჩართვა გლობალურ სოციალურ-ეკონომიკურ კომპლექსში, ბიზნესში და ტექნოლოგიურ და ინოვაციურ პროცესებში. ამ მიმართებით ფრიად მნიშვნელოვანია ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების პრობლემატიკის დამუშავება სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული ასპექტებით. დღევანდელი თვალთახედვით, აქ უნდა გამოიყოს რეგიონული დონე და რეგიონების კონკურენტუნარიანობის საკითხების კვლევა, რადგანაც, უმთავრესად სწორედ ლოკალური რეგიონული სისტემების ფორმატშია თავმოყრილი ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების ფაქტორები.

ევროპის უნივერსიტეტის გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევების ინსტიტუტის ფარგლებში გათვალისწინებულია აღნიშნული პრობლემატიკის კვლევა, რომელიც ფორმულირებულია შემდეგნაირად: „საქართველოს რეგიონების კონკურენტუნარიანობის ფაქტორები (ქიზიყი: სიღნაღის და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტები)“. პროექტი 2 წლიანია და შედეგად მოიცავს საქართველოს ყველა რეგიონს (იხ.რუკა), თუმცა, კვლევის პირველ წელს გამოყოფილი იქნება სიღნაღის მუნიციპალიტეტი, როგორც საპილოტე კვლევის ობიექტი.

პირველ ეტაპზე გათვალისწინებულია რეგიონების კონკურენტუნარიანობის ფაქტორების გამოვლენისა და კვლევის შესაბამისი სამუშაოების განხორციელება სიღნაღის მუნიციპალიტეტის მაგალითზე, შესაბამისი ინფორმაციული მასალების მოძიების და კვლევის სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით.

კვლევის მიზანი. კვლევის მიზანია გამოყოფილ და გამოკვლეულ იქნას ქიზიყის რეგიონის კონკურენტუნარიანობის ფაქტორები. მათ შორის, დემოგრაფიული გარემო, მეწარმეობის განვითარების არსებული დონე და მისი ხელშეწყობის მდგომარეობა, სოციალური პრობლემების თავისებურებები. სოფლის მეურნეობის ტრადიციული მიმართულებებთან (მესაქონლეობა, მევენახეობა, ტურიზმი) ერთად, განხილულ იქნება ქიზიყის რეგიონისთვის კლასტერული მიდგომის რეალიზაციის თავისებურებები. მაგალითად, ტურისტულ-რეკრეაციული, მეღვინეობის და მესაქონლეობის კლასტრების რეალური არსებობის ან ფორმირების შესაძლებლობები.

კვლევის მეთოდი. კვლევაში გამოყენებული იქნება სისტემური მიდგომის მეთოდი, წინასწარ მომზადებული კითხვარებით ანკეტური გამოკითხვის მეთოდი, საექსპერტო მეთოდი, ასევე სტატისტიკური ანაღზის და პროგნოზირების მეთოდები.

ცალკეულ სამუშაოებში ჩართულ იქნებიან სტუდენტები, საკვლევი პრობლემების სპეციფიკისა და კვლევის ინტერესების გათვალისწინებით ევროპის უნივერსიტეტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქუთაისის უნივერსიტეტის და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები. მეთოდოლოგიური და მეთოდური საკითხების გარშემო გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით ვფიქრობთ ასევე, ჩვენი პარტნიორი დაუგავილისის უნივერსიტეტის (ლატვია) რამოდენიმე პროფესორის ჩართვასაც, რომლებიც დაკავშირებული არიან თემატიკით და სამეცნიერო-კვლევითი პროფილით რეგიონების

პრობლემატიკასთან. მუშაობის პროცესში კონტაქტი გვექნება სიღნაღის და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტების შესაბამის სტრუქტურებთან, რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან, ასევე სხვა ორგანიზაციებთან, გამომდინარე პროექტის ცალკეული საკითხების დამუშავების საჭიროებებიდან.

კვლევის პროცესში გავითვალისწინებთ გასულ წლებში უკვე განხორციელებული თეორიული და გამოყენებითი კვლევების შედეგებს, განხორციელებულს როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ამავე დროს, ასახული იქნება კვლევაში მონაწილე ავტორთა საკუთარი თეორიული და პრაქტიკული კვლევის შედეგებიც.



კვლევის შედეგები განხილულ იქნება სიღნაღის და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტების შესაბამის სტრუქტურებთან და გადაეცემა მათ კონკრეტულ საქმიანობაში გამოსაყენებლად.

კვლევის შედეგების ამსახველი მასალა რედაქტირების და რეცენზირების შემდეგ გამოიცემა კოლექტიური მონოგრაფიის სახით. აღნიშნული საპილოტე გამოკვლევა, ჩვენი აზრით, იქნება შემდგომი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების თეორიულ მეთოდოლოგიური და პრაქტიკულ-მეთოდური ბაზა. უკვე მიღებული გამოცდილების, აპრობირებული ტექნოლოგიების და მეთოდების საფუძველზე გაგრძელდება ეტაპობრივად 2020-2022 წწ. განმავლობაში საქართველოს სხვა რეგიონების კონკურენტუნარიანობის ფაქტორების კვლევა.

ევროპის უნივერსიტეტის გლობალიზაციის ეკონომიკური და სოცალური პრობლემების კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი,
ე. მ. დ., პროფესორი

გ. ბედიანაშვილი

